ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

GEORGIA
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

ხულოს სატყეო ადმინისტრაცია
Forestry administration of Khulo

დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ №1
N1 M. Abashidze str., Borough Khulo,

N 14/44
15.04.2025

44-14-2-202504151227

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმბერ,

თქვენს მიერ გადმოგზავნილ 2025 წლის 11 მარტის N09/301 კორესპონდენციაზე, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს 2025 წლის 28 თებერვლის DES 7 25 00010432 კორესპოდენციას, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ჭერში 03 (სამი) ერთეული სპეციალური ფირნიშით დაუმარკირებელი ხე-ტყის (მორების) აღმოჩენას გაცნობებთ, რომ მოქლაქე დათო აბაშიძეზე ჩამორთმეული I ხარისხის (სამასალე) ხე-ტყე, საერთო მოცულობით არის 6,39 კბმ, 3 ცალი მორის სიგრძე არის 5 მეტრი, რომელთა წვ. თავ. დიამეტრებია 1) სჭ 69 სმ, 2) სჭ 74 სმ, 3) სჭ 60 სმ, მიღება-ჩაბარების აქტით დროებითი შენახვის მიზნით ჩაბარებულია ხულოს სატყეო ადმინისტრაციის, ხიხაძირის სატყეოს N2 სამცველოს ტყის მცველზე ისმეთ ზანდარაძეზე.

ხე-ტყე მოჭრილია ხიხაძირის სატყეოს N2 სამცველოს კვარტალ N14-ში და განთავსებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ.ჭერში, სამანქანე გზიდან 3 მეტრის მოშორებით ღია ცის ქვეშ და განიცდის კლიმატურ ზემოქმედებას.

ასევე გაწვდით ხე-ტყის მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტს და მიღება ჩაბარების აქტს.

დანართი: 2 გვერდი და 1 „ZIP“ ფაილი.

პატივისცემით,

ნოდარი შანთაძე

დირექტორი
ხულოს სატყეო ადმინისტრაცია